# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

10 ნოემბერი, შაბათი, 1990 წ.
№ 215 (10384) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


+1

ახალი გამაჯანსაღებელი კომპლექსი

## გიხაროდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღება წლების მანძილზე საქართველოში თვითნებაზე იყო მიშვებული. „ლელომ“ ეს საკითხი ამ ხამიოდე თვის წინათ წამოწია დღის წესრიგში და ფართო საზოგადოებას არაერთგზის აუწყა იმ საგანგაშო ვითარების შესახებ, რომელიც ჩვენშია შექმნილი.

გამოსავალი ერთია — სპორტული ბაზები მაქსიმალურად უნდა ჩავაყენოთ სხვადასხვა ასაკის ადამიანების ფიზიკური გაჯანსაღების სამსახურში, უნდა შევქმნათ თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი ჯანმრთელობის კერები.

მაგალითი და ნიმუში გნებავთ? მიაკითხეთ თბილისის სპორტის სასახლის ხელმძღვანელებს, რომელთა უშუალო თაოსნობით მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ახალი გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელსაც ბადალი არ დაეძებნება საქართველოში.

კომპლექსი გუშინ საზეიმოდ გაიხსნა.

ვრცელ ინტერვიუს სპორტის სასახლის დირექტორთან თენგიზ ლომიძესთან „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

ანზორ კოპლამაზაშვილის ფოტო.

## იასპარეზეს შემთხვევით, გაიმარჯვეს კანონზომიერად

**ჩვენი** რესპუბლიკის სპორტსმენები არ არიან განებივრებულნი საერთაშორისო ტურნირებში დამოუკიდებლად მონაწილეობით. მიზეზი მრავალია და ერთ-ერთი მათგანი ისაა, რომ თუ ცენტრი მოისურვებს, აგზავნის ჩვენს გუნდებს საასპარეზოდ, ხშირ შემთხვევაში კი არც აგებინებს, სად რა ტურნირი ეწყობა.



ამჯერად ერთ ტურნირზე გვინდა მოგითხროთ, სადაც ჩვენი სამბისტები შემთხვევის წყალობით მოხვდნენ. ქართველი მოჭიდავეები ტულუზაში იყვნენ მიწვეულნი. მათი საფრანგეთში ყოფნა მარტინის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას დაემთხვა. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ შევხვდით საქართველოს სამბისტთა გუნდის მთავარ მწვრთნელს სპარტაკ ჯინორიძეს, რომელმაც მოგვითხრო განვლილი ასპარეზობის შესახებ.

— საფრანგეთში ჩვენ მიწვეულნი ვიყავით ტულუზაში ერთობლივ საწვრთნელ ვარჯიშებზე. მასპინძლებისგან შემთხვევით გავიგეთ, რომ მარტინში ტარდებოდა საერთაშორისო ტურნირი და მათივე თხოვნით, მათთან ერთად გავემგზავრეთ. მარტინის ტურნირზე თავი მოეყარათ ესპანეთის, ალჟირის, მონაკოს, ბულგარეთის, მოსკოვის, ჩრდილო კავკასიისა და მასპინძლების ორ გუნდს. საფრანგეთის ნაკრების ძირითად ბირთვს ტულუზელი მოჭიდავეები შეადგენდნენ. მათი თხოვნით ორგანიზატორებმა ჩვენც დაგვიშვეს საასპარეზოდ. ვინაიდან მხოლოდ ხუთი სპორტსმენი გვყავდა წაყვანილი, მასპინძლებმა შემოგვთავაზეს, ორი მოჭიდავე გამოგვეყვანა კიდევ ორ სხვა წონით კატეგორიაში. აქვე ვიტყვი, რომ მოსკოვის გუნდი ტრადიციულად ასპარეზობს აღნიშნულ ტურნირზე, მაგრამ ჩვენ არც კი ვიცოდით მისი არსებობის შესახებ, ჩვენთვის არასდროს უცნობებიათ საფრანგეთის ტურნირის თაობაზე.

ჩვენმა ბიჭებმა თავი არ შეირცხვინეს და მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზეს. 62 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა მურთაზ თურქიამ, რომელმაც ფინალში მოსკოველი ვ. ტროშკინი დაამარცხა. მურთაზი მეორე ადგილზე გავიდა 68 კგ წონით კატეგორიაში. გია ნაცვლიშვილმა ორი პირველი ადგილი მოიპოვა 68 და 74 კგ წონით კატეგორიებში. 82 კგ წონაში თემურ შეთეკაური გამოდიოდა. ფინალში მისი მეტოქე საფრანგეთის გუნდის წევრი გახლდათ. თემური თავიდანვე დაწინაურდა, ხუთ ქულას უგებდა მეტოქეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სერიოზული ტრავმა მიიღო და იძულებულნი გავხდით, მოგვეხსნა ორთაბრძოლიდან. იგი საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. ჯემალ მჭედლიშვილმა (90 კგ) პირველობა არავის დაუთმო, ხოლო მძიმე წონაში გაიმარჯვა გელა ბერუაშვილმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის — ი. კალმიკოვი. საბოლოოდ, ჩვენმა ბიჭებმა ხუთი პირველი და ორიც მეორე ადგილი მოიპოვეს; გუნდურ ჩათვლაშიც პირველები ვიყავით.

**გია ბურდული.**

• • •

**სურათზე:** საქართველოს სამბისტთა გუნდის მიერ საფრანგეთში მოპოვებული ჯილდო — „მარტინის თასი“.

## SOS

**გუშინ** შევიტყვეთ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა „გერის“ როლში სურთ გამოაცხადონ. სიტყვა-სიტყვით მოგვყავს ამონაწერი ოფიციალური დოკუმენტიდან: „მეთოდური კომისიისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ფიზიკური აღზრდის დისციპლინათა არსებული მეთოდიკით სწავლება განხორციელდეს მხოლოდ I კურსზე“.

აი, ახე, მშვიდობით ფიზიკური კულტურის სიკეთევ!

მსოფლიოში ჩვენ ვიქნებით პირველები, ვისაც გვინდა კარგი, მაგრამ ფიზიკურად დამახინჯებული სპეციალისტები გვყავდეს!

ბარაქალა ნოვატორებო!..

### საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ი. მენაღარიშვილის

## მიმართვა

### უველა წარმოება-დაწესებულებას, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს!

9 აპრილს მოწამლულ ავადმყოფებს: ინგა რუხაძეს და ზვიად ქასრაშვილს სასწრაფოდ ესაჭიროებათ საზღვარგარეთ გაყვანა და მკურნალობა, რისთვისაც საჭიროა დიდი რაოდენობით თანხა, როგორც სავალუტო, ასევე სამანეთო. ავადმყოფებისთვის გახსნილია სპეციალური ანგარიში: საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში სავალუტო ანგარიშის ნომერია 670802600 — ფონდი „ბანკირი“, სამანეთო ანგარიშისა—№609000356, ფონდი „ბანკირი“.

**ი. მენაღარიშვილი,**
საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.




## კვლავ გვეწვია სპორტული ცეკვები „ოქროს საწმისი -90“

ეს საინტერესო სანახაობა, რომელიც სპორტისა და ხელოვნების ფილიგრანულ ოსტატობამდე დახვეწილი სინთეზია, მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენმა მაყურებელმა გუშინ უკვე იხილა სპორტული ცეკვების საერთაშორისო კონკურსის მონაწილეთა პირველი გამოსვლები. კონკურსი თბილისის სპორტის სასახლეში დღეს და ხვალ გაგრძელდება. დასაწყისი 19 საათზე.

## დინამოელთა სარბიელზე

**ჩვენი** რესპუბლიკის ძიუდოისტები ხელიდან არ უშვებენ არც ერთ შესაძლებლობას, შინ მედლებით რომ დაბრუნდნენ. აი, ახლაც: ალმაათაში, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ახალგაზრდებს შორის კარგად იასპარეზა გურჯაანელმა ბესიკ ხაჩიშვილმა (65 კგ), რომელმაც ხუთი შეხვედრა ჩაატარა და აქედან ოთხში წმინდა გამარჯვება იზეიმა. მან 22 მონაწილეს შორის პირველი ადგილი მოიპოვა (მწვრთნელები მერაბ კენჭაძე და გივი ქენქაძე).

ასევე პირველი ადგილი დაიკავა თელაველმა გოჩა ხუციშვილმა (71 კგ), რომელსაც ფინალურ ორთაბრძოლაში სულ 20 წამი დასჭირდა მეტოქის დასამარცხებლად (მწვრთნელი სოსო კევლიშვილი).

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები III ადგილზე გავიდნენ (გუნდი მოამზადეს ანზორ მარტყოფლიშვილმა და გივი ქენქაძემ).

## ინფორმაცია

**რვა** პირველი და ერთი მესამე ადგილი — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ დერბენდის ჭაბუკთა საკავშირო ტურნირიდან თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის ძიუდოისტთა გუნდის წევრები, რომელთა შემადგენლობაში 10 ფალავანი იყო.

პირველი ადგილები წონითი კატეგორიის მიხედვით დაიკავეს **35 კგ** დავით გაგლოევი: **50 კგ** ლევან ქუთათელაძე; **58 კგ** მიხეილ აბაშიძე; **57 კგ** სერგო ალექსანიანი; **61 კგ** ლევან მელიქიშვილი; **65 კგ** ტარიელ კახელაშვილი; **71 კგ** ფრიდონ კახელაშვილი; **მძიმე:** გიორგი ნუცუბიძე, გოდერძი თევზაძე (41 კგ) მესამე ადგილზე გავიდა.

## სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ

**ძიუდოში** — მაქსიმ ლობჟანიძეს (თბილისი, „დინამო“), მალხაზ ავაზნელს, რამაზ წიკლაურს (ორივე— თბილისი, ასკ), ნიკოლოზ გოგავას, ბადრი გუბელაძეს (ორივე — ქუთაისი, „დინამო“), დავით ახალბედაშვილს (გორი, „შევარდენი“), ლიუდმილა კუბალოვას (თბილისი, ასკ)

**მძლეოსნობაში** — ელვირა ურუსოვას, ნინო ონაშვილს (ორივე — თბილისი, „შევარდენი“);

**აკრობატიკაში** — დონარა შალიბაშვილს, მარიამ მელიაშვილს (ორივე — თბილისი, „მართვე“), გელა შაროვს, შალვა სამხარაძეს, მირიან ტოკლიკიშვილს, რევაზ ბაცაშვილს (ყველა — რუსთავი, „მართვე“)

**სამბოში** — პაატა მულაძეს (ხაშური, „შევარდენი“), გიორგი ნოზაძეს (რუსთავი, „შევარდენი“);

**ტრეკზე ველორბოლაში** — მირიან დოლიძეს (თბილისი, „შევარდენი“);

გამოხმაურება ზ. ასკანელის წერილზე: „ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის“

# სპორტი — პოლიტიკის გარეშე

**გულდასმით** და დიდი ინტერესით წავიკითხე თქვენს გაზეთში 24 ოქტომბერს დაბეჭდილი ზურაბ ასკანელის წერილი „ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის“. გადავწყვიტე, გამოვხმაურებოდი მას. შესაძლოა, იგი არც დამიბეჭდოთ (რადგან საპირისპირო მოსაზრებას გამოვთქვამ), მაგრამ მაინც პრინციპულად მოვითხოვ მის დასტამბვას თითქმის უცვლელად.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს სპორტი პოლიტიკის სფეროში ექცევა და კარგავს თავის დანიშნულებას. სპორტსმენები, გულშემატკივრები, მწვრთნელები გადაყვნენ პოლიტიკას და სპორტი გვერდზე დარჩათ.

სულ ბოლო მაგალითი ავიღოთ — ამ ცოტა ხნის წინ ბორჯომში ჩატარებული მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი ჭადრაკში. ყველას კარგად მოეხსენება, რა სამწუხარო შედეგით დასრულდა იგი. ნუთუ ბოლო მომენტამდე არავინ იცოდა, ერთ წრედ რომ ტარდებოდა? რა თქმა უნდა, მოსკოვმა იცოდა, მაგრამ არაფერი გვაცნობა. ჩვენ დღეისათვის საკავშიროს ვერაფერს ვიტანთ. და აი, საბოლოო შედეგი. როცა „გამოვფხიზლდით“ (საპროტესტო წერილი გაუგზავნა ნანა ალექსანდრიამ ფიდე-ს პრეზიდენტს კამპომანესს), უკვე დაგვიანებული იყო. ჩვენი ნაქები უნიჭიერესი ქართველი მოჭადრაკე ქალებიდან ალარავინაა პრეტენდენტი. განა სამარცხვინო და თავის მოჭრა არ არის? რამ გამოიწვია ყოველივე ეს? როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკავშირო ფედერაციებთან (კონკრეტულ შემთხვევაში ჭადრაკის) „გადაკიდებამ“. რა შედეგი მოგვიტანა ყოველივე ამან? საოცრად უარყოფითი. აი, რა მოსდევს ჩვენს ამპარტავნობას და გამეტიჩრებას.

როგორც სპორტის ჭეშმარიტმა, ალალმა გულშემატკივარმა, მინდა ძალზე სამწუხარო მოსაზრება გამოვთქვა. დღეისათვის ჩვენ თითქმის ალარ შემოგვრჩა სპორტის ისეთი სახეობა, რომლითაც შეიძლება ვიამაყოთ, პრიორიტეტი გვქონდეს სხვებთან შედარებით. პრიორიტეტს ვინღა დაეძებს, სულ უფრო და უფრო დაბლა ვეშვებით. დავთმეთ პოზიციები ხელბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშში და ბევრ სხვა სახეობაში. ხელიდან გვეცლება კალათბურთი, ნუთუ პოზიციებს დავთმობთ ჭიდაობაშიც? უკვე ალარაფერს ვამბობ ძალოსნობასა და მძლეოსნობაზე.

ნუთუ ეს არავის აღელვებს? სხვების არ ვიცი, მაგრამ პირადად მე ასეთი სავალალო შედეგი გულს მიკლავს და სწორედ ქართული სპორტის დეგრადაციის პერიოდში იმის დროა, რომ განვაცხადოთ: **„...მომავალი წლიდან ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვათ ყოველგვარ სპორტულ ღონისძიებაზე, რომელიც საკავშირო შეჯიბრების ნიშნით გაიმართება“?**

ადრე იქნება თუ გვიან, საქართველო მაინც გახდება დამოუკიდებელი და, სწორედ მაშინ ალარ გვექნება სპორტი ისეთი სახითა და ბრწყინვალებით, როგორიც გვსურს, როგორიც გვეკადრება, როგორითაც ადრე ვამაყობდით.

ქართულ სპორტს უჭირს ეკონომიკურად, სულს ლაფავს. ჩვენ განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ სპორტის სხვადასხვა სახეობების ალსადგენად. არადა რა ხელბურთელები, ჩოგბურთელები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, წყალბურთელები და სხვები გვყავდნენ. ჩვენი სპორტსმენები ყველას რიხსვა იყვნენ. ახლაც გვინდა ასეთები. მაგრამ ამისათვის საჭიროა შრომა, ვარჯიში, გამოცდილი, უნარიანი მწვრთნელები (ანდრო ყორდანიას, სულიკო თორთლაძის, ვახტანგ ქარსელაძის მსგავსები) და არა პოლიტიკის თამაში, საკავშირო პირველობაზე არ ვითამაშებო და სხვა ასეთი.

ქართული სპორტის ტრადიციების ალსადგენად ყველამ ერთნაირი ძალისხმევით უნდა ვიბრძოლოთ. ვეძებოთ ქალაქებსა და სოფლებში, რაიონებში ტალანტები, ყველაფერი გავაკეთოთ მათი სპორტული დაოსტატებისა და სრულყოფისათვის, მსოფლიო ვარსკვლავების დონემდე ასამაღლებლად. არადა, ასეთი ტალანტები უთუოდ გვყავს. ოღონდ, ძიებაა საჭირო და არა ზოგიერთი მშობლის გარკვეული ჭირვეულობა ჩემს შვილს სპორტში არ მივიყვან, ან ჩემი შვილია ყველაზე საუკეთესო და ნუ დამიჩაგრავთო.

მთავარია, ერთად ვიყოთ, ერთად ვაკეთოთ საქმე და არა ერთმანეთს ვექიშპოთ. კალათბურთის 25 წლის გულშემატკივარი ვარ. თბილისის „დინამოს“ თითქმის არც ერთ თამაშს არ ვაცდენ. ლევან მოსეშვილს ბევრი რამ აქვს გაკეთებული ამ ბოლო დროს ქართული კალათბურთისათვის. გუნდში ადრე რამდენიმე რუსი რომ ჰყავდა (სავსებით სამართლიანად იმ პერიოდისათვის), პირდაპირ „შეჭამეს“. ახლა, როცა გუნდი მთლიანად ქართულია, „მტრები“ მაინც გამოუჩნდნენ, არ ასვენებენ, გუნდმა შარშან რატომ დაიკავა მეცხრე ადგილიო. არადა, ამ გუნდით მეცხრე ადგილი მართლაც მიღწევა იყო. ქართულ გუნდს სჭირდება ტანმაღალი, პერსპექტიული კალათბურთელები. ამისათვის კი ყველამ უნდა იფიქროს და არა ლ. მოსეშვილს ებრძოლონ პრესის ფურცლებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ პირადად ვიცნობ ზურაბ ასკანელს (ეს მისი ფსევდონიმია, არის შესანიშნავი ექიმი, „ახალგაზრდა ივერიელში“ ბრწყინვალედ უძღვება იუმორს), დიდად ვაფასებ მას, მაგრამ მაინც არ ვიზიარებ და მხარს არ ვუჭერ მის წინადადებას — ყოველგვარ საკავშიროზე უარის თქმას.

ჩემი ღრმა რწმენით, სპორტი ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე უნდა იყოს.

რა ცუდიც უნდა იყოს საკავშირო პირველობები, მაინც ვიყოთ გულახდილნი: დიდ გამოცდილებას, პრაქტიკას ღებულობდნენ სპორტსმენები, თქვენ წარმოიდგინეთ, ზევრსაც სწავლობდნენ.

თავის სტატიაში ბატონი ზურაბი საკავშირო პირველობებისაგან განსხვავებულ ფორმებსა და შეჯიბრებებს გვთავაზობს, მაგრამ გამოთვალა კი ბატონმა ზურაბმა, რა თანხები დასჭირდება ასეთ პირველობებში მონაწილეობას? დამერწმუნეთ, იმაზე მეტი დაიხარჯება, ვიდრე საკავშირო პრველობებზე იხარჯებოდა. და განა ამჟამად გვაქვს ამდენი მატერიალური შესაძლებლობა? ვფიქრობ, რომ არა. უბრალოდ, ამ ბოლო დროს საკავშირო პირველობის ერთ-ერთი ტური ვერ ჩავატარეთ ქალთა შორის კალათბურთში.

ერთი სიტყვით, ასე ხელაღებით საკავშირო პირველობის უარყოფა არამც და არამც არ მიმაჩნია გამართლებულად. ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა ისაა, რომ ჩამორჩენილი სპორტის სახეობები აღვადგინოთ, გავძლიერდეთ, ვეძებოთ ტალანტები. ამაში, მართალია, გაზეთ „ლელოს“ გარკვეული წვლილი შეაქვს, მაგრამ მანაც უფრო მეტი უნდა გააკეთოს ზოგიერთი სახეობების განსავითარებლად. როგორც ჩვევია, განგაში ატეხოს ყოველგვარ ნაკლზე, ჩამორჩენაზე. მოკლედ და კონკრეტულად, ყველა ძალა მოახმაროს ჩამორჩენილი სახეობების წინსვლას.

**თეიმურაზ მორგოშია**

თბილისი.

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

# ტრადიციების სათავეებთან

**XX საუკუნის** დამდეგს ქუთაისში გავრცელებული იყო სპორტის ეროვნული სახეობები: ლელობურთი, ლახტი, ჭიდაობა, ცხენბურთი, ყაბახი და სხვა. პარალელურად სასწავლებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ტანვარჯიში და ფარიკაობა.

ამ პერიოდში პრინც ოლდენბურგს საღორიის ტყის მიდამოებში სანაქებო საცხენოსნო მეურნეობა ჰქონდა და ხშირად აწყობდა შეჯიბრებებს ცხენოსნობაში.

1909 წლის მიწურულს ცნობილმა საქმოსანმა ნ. გამყრელიძემ დღევანდელ მწერალთა სახლის ტერიტორიაზე დააარსა ცირკი, რომლის სარბიელზე გამოდიოდნენ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მსახიობები.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს ცირკში გამომსვლელთაგან საქვეყნოდ აღიარებული ფალავნების შერკინება იწვევდა. ქუთათურებს ჯერ კიდევ ახსოვთ ე. წ. ხარაზიშვილებისეულ ცირკში მოასპარეზე ცნობილი ქართველი ფალავნების — ქულა გლდანელის, ნესტორ ესებუას და სხვათა ჭიდაობა, კუნთმაგარ ათლეტთა შესაშური ოსტატობა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ქუთაისის ცირკში წარმატებით ასპარეზობდა ცნობილი ფალავანი კოსტა მაისურაძე, რომლის ზღაპრული ძალ-ღონე, ვაჟკაცური და ალალი ბუნება განუმეორებელს ხდიდა ამ პიროვნებას. ერთხელ, ასპარეზობის წინ, როდესაც ექსტაზში შესულმა ფალავანმა მკლავზე ცერის სიმსხო რკინა დაიხვია, გაოცებულმა ქუთათურებმა ნამდვილი ოვაცია გაუმართეს სახელოვან მოჭიდავეს. ერთ-ერთმა ქუთაისელმა პოეტმა ექსპრომტიც კი უძღვნა კოსტა მაისურაძეს:

**„ეს რკინა ისე დაგრიხა,**
**ვით მოზელილი თახმაო,**
**მაყურებლები გაოცდნენ —**
**უყურეთ, კოსტამ რა ქნაო!“**

იმ პერიოდში ქუთაისში საჭიდაო სარბიელზე თავიანთ ოსტატობას აჩვენებდნენ მსოფლიოს საუკეთესო ფალავნები: ივან პოდუბნი, გეორგ ლურიხი, ზბიშკო ციგანევიჩი და სხვანი.

1909 წლის 22 ოქტომბერს ქუთაისში ექსკურსიაზე მყოფმა თბილისელმა გიმნაზიელებმა რეალურ სასწავლებელში ტანვარჯიშული გამოსვლები ჩაატარეს, ხოლო შემდეგ ე. წ. ხოპერ კაზაკთა პოლკის მოედანზე (დღევანდელი სადგურის მიდამოები) წარმოადგინეს ახალი თამაში — ფეხბურთი. ამ პირველ „საფეხბურთო სპექტაკლს“ დიდძალი ხალხი დასწრებია.

სულ მალე ფეხბურთი მოედო მთელ ქალაქს, „ველური გუნდები“ შექმნეს ოლასკურელებმა და „ზასტაველებმა“. ბალახვნელებმა და საფიჩხიელებმა, ჰომვლებმა და გოჭოურლებმა. 1915-1916 წლებში ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობდა „თერგის“, „სპორტის“, „ვეფხვის“, რეალური სასწავლებლისა და სხვა გუნდები.

1916 წლის საქალაქო გაზეთ „სამშობლოს“ ცნობა: „კვირას, 9 ოქტომბერს 3 საათზე ქუთაისში ხარაზოვის ბაღში გაიმართება შეჯიბრება „ფუტბოლის“ თამაშში. შეჯიბრება მოხდება ორ ჯგუფს შორის — „ვეფხვი“ და „სპორტი“... სამწუხაროდ, აღნიშნული გუნდების შემადგენლობა და მატჩის ტექნიკური ანგარიში ჩვენთვის უცნობია. ერთი რამ კი ცხადია, ფეხბურთი მყარად მკვიდრდებოდა რიონისპირა ქალაქში.

1912 წელს ყოფილი მიხაილოვის (დღევანდელი ფალიაშვილის) ქუჩაზე გაიხსნა ვალოდია ტერკის ველოსიპედების საფირმო მაღაზია-სახელოსნო. მაღაზიის პატრონს რუსეთიდან შემოჰქონდა უცხოური ველოსიპედები. რა თქმა უნდა, მაშინ ძვირადღირებული ველოსიპედების შეძენა ბევრს არ შეეძლო, მაგრამ იყო ერთი გამოსავალი — მაღაზია ველოსიპედებს აქირავებდა სხვადასხვა ვადით. აღსანიშნავია, რომ ვ. ტერკი 1916-1918 წლებში საღორიის ტყის მიდამოებში აწყობდა შეჯიბრებებს ველოსპორტში.

1919 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისში ჩამოყალიბდა ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა თაობის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის საქმეს. ახალ სპორტულ საზოგადოებასთან შეიქმნა ფეხბურთის, ველოსპორტის, ტანვარჯიშის, ძალოსნობისა და სხვა სექციები. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო პროპაგანდის მიზნით „შევარდენი“ აწყობდა მასობრივ სპორტულ გამოსვლებს ქუთათურებისათვის.

1920 წლის თებერვლიდან ქუთაისში გამოსვლა დაიწყო სპორტულ საზოგადოება „შევარდენთან“ არსებულმა ყოველთვიურმა ჟურნალმა „შევარდენმა“, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ წლების ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაზე.

1924 წელს ჩვენს ქალაქში კალათბურთის პირველი ფარი აღიმართა. ქუთაისში პირველი კალათბურთელები იყვნენ: გ. კილაძე, შ. იმედაძე, გ. შხვაცაბაია (შემდგომში აკადემიკოსი), კ. ისტომინი, გ. გოქსაძე, ვ. რობაქიძე და სხვები. სულ მალე ქუთაისელმა კალათბურთელებმა რესპუბლიკურ, ხოლო ცოტა უფრო გვიან, საკავშირო სარბიელზეც ისახელეს თავი.

20-30-იან წლებში ქუთაისელი ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის, დასვენება-გართობის ადგილს მდინარე რიონი და მისი სანაპირო წარმოადგენდა. დაწყებული ჯაჭვის ხიდიდან, დამთავრებული მთავარ ბორნამდე (დღეს მეოთხე ხიდის მიდამოები). რიონი და მისი ნაპირები გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ახალგაზრდებით იყო სავსე. იმართებოდა შეჯიბრებები ცურვაში, ჭიდაობაში, ლოდების აწევაში, კრივში. იმ პერიოდში სპორტის მოყვარულებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა შემდგომში ლეგენდარული ფალავანი კოლია ქვარიანი, რომლის შესახებ ხანდაზმული ქუთათურები საინტერესო ეპიზოდებს გვიამბობენ.

1923 წლისათვის ქუთაისში ფეხბურთის ოცზე მეტი გუნდი არსებობდა, რაც ნათლად მეტყველებს სპორტის ამ სახეობის პოპულარობაზე ქუთაისში. გულშემატკივრებს უყვარდათ ადგილობრივი გუნდები — „კიმ“-ი, „ბაში-აჩუკი“, „სპარტაკი“, „ტრიუმფი“, მესამე ლეგიონი, „ლოკომოტივი“ და სხვ.

1928 წელს ჩატარებულ საქართველოს პირველ სპარტაკიადაზე ქუთაისის ფრენბურთელთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა და საპატიო პირველი ადგილი დაიკავა. იმავე წელს საკავშირო სპარტაკიადაზე ქუთაისელი ფრენბურთელები: გ. კილაძე და გ. გოქსაძე ამიერკავკასიის ნაკრების ღირსებას იცავდნენ.

რა თქმა უნდა, ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში სპორტის წამყვან სახეობებად კვლავ რჩებოდა ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა, რაც მთავარია, ქუთაისელი სპორტსმენები ხშირად მოგზაურობდნენ დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, სპორტის სხვადასხვა სახეობებში მართავდნენ ამხანაგურ მატჩებს და ხელს უწყობდნენ სპორტის განვითარებას კოლხეთის დაბლობზე.

20-იანი წლების ქუთაისის სპორტის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ველოსპორტს. ამ სახეობაში გამოირჩეოდნენ ვ. აბზიანიძე, ე. ქავთარაძე, შ. თოფურია, გ. ქომეთიანი, მ. ვაწაძე, ა. ზვიადაძე, ს. მანჯაძე. „შევარდენთან“ არსებულმა ველოსექციის წევრებმა 1922 წელს ქართული სპორტის ისტორიაში პირველად ველობურთის თამაში წარმოადგინეს ქალაქის ბულვარზე.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე გაჩენილმა მტკიცე ბალავერმა ქუთაისი მდიდარი სპორტული ტრადიციების ქალაქად აქცია.

**ზურაბ ჯავახაძე**

ქუთაისი.

# გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდით

**ძალოსნური** სამჭიდი სპორტის ის სახეობაა, რომელშიც ქართველი სპორტსმენები მაინცდამაინც დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ უკანასკნელ წლებში მასაც მიექცა ჯეროვანი ყურადღება და წარმატებებმაც არ დაიგვიანა. და თუ ვინმეს უკავშირდება ძალოსნურ სამჭიდელთა ბოლოდროინდელი გამარჯვებები, ალბათ, უპირველესად, შოთა ბექაშვილს. სიღნაღელმა ათლეტმა სულ ახლახან ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ტურნირს „ბალტიის თასი“ ეწოდება და იგი ყოველთვის დიდი კონკურენციით, მონაწილეთა მაღალი კლასითა და სპორტული შემართებით ხასიათდება. არც რიგით IV ტურნირი იყო გამონაკლისი: წლეულს მსოფლიოს 15 ქვეყნის ათლეტებმა სცადეს ძალა ამ შეჯიბრებაში, მათ შორის ფინეთის, პოლონეთის, გერმანიის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა. ეს სწორედ ის ქვეყნებია, რომლებიც „ამინდს ქმნიან“ მსოფლიოს ძალისმიერ სამჭიდში.



მიუხედავად ტურნირის ასეთი სიძლიერისა, შოთა ბექაშვილმა (იგი საკავშირო ნაკრებში გამოდიოდა) მძიმე წონოსანთა ასპარეზობაში მრავალჭიდში (სამი სახეობის ჯამი) III ადგილი დაიკავა. იგი ჩაჯდომში III ადგილზე გავიდა, აჭიმვაში — მეორეზე, ხოლო წოლჭიმში ჩვენი თანამემამულე უძლიერესი იყო. აღსანიშნავია, რომ შ. ბექაშვილი (მწვრთნელები — ზაზა ჯაფარიძე და გოჩა ონანაშვილი) პირველი ქართველი ძალისმიერი სამჭიდელია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურნირში.

სხვათა შორის, წოლჭიმში შოთამ 10 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მან 240 კილოგრამი სიმძიმე დასძლია. თუ გავიხსენებთ, რომ იგი საბჭოთა კავშირის აბსოლუტური რეკორდსმენიცაა (272,5 კგ), მივხვდებით, რომ ეს წარმატება შემთხვევითი არ არის.

**ლევან ჯავახიშვილი**

• • •

**სურათზე: ორიოდ წამიც და შოთა ბექაშვილი გააუმჯობესებს წოლჭიმში მსოფლიო რეკორდს.**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„გორდა“ (რუსთავი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 6:4 (3:0).**

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 8 ნოემბერი.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრაშვილი (დიმიტრიშვილი), კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (ბურნაძე), ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე (ალადაშვილი).

„სანავარდო“: გამყრელიძე, დ. კოხრეიძე, ვაშაკიძე (ლორთქიფანიძე), ჭელიძე, თვალაბეიშვილი, რუხაძე, ტონია, კოტრიკაძე, ნაჭყებია, ხუჭუა, თ. კოხრეიძე.

მსაჯები: ვ. ეჯიბია, ზ. დარჩია (ორივე — თბილისი), გ. კალანდია (ზუგდიდი).

**მატჩი** წვიმიან ამინდში მიმდინარეობდა, რამაც იმოქმედა კიდეც თამაშის ხარისხზე. მიუხედავად ამისა, შეხვედრა უხვგოლიანი აღმოჩნდა და მაყურებელმა კმაყოფილმა დატოვა სტადიონი.

შეხვედრა რუსთაველთა იერიშებით დაიწყო და სტუმართა მცველები უკვე მე-10 წუთზე მიქაშავიძესთან უხეში თამაშისთვის თერთმეტმეტრიანით დაჯარიმდნენ, ფანცულაიას დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0. ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა მასპინძელთა სახიფათო იერიშები. 31-ე წუთზე ტ. კაპანაძემ მეორედ აიღო „სანავარდოს“ კარი. პირველ ორმოცდახუთ წუთში მიქაშავიძემ კიდევ ერთი ბურთით დააწინაურა თავისი გუნდი.

დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, ფანცულაიამ შეძლო მეოთხე გოლის გატანა. ამის შემდეგ „გორდას“ ფეხბურთელებმა მოადუნეს ყურადღება, რითაც კარგად ისარგებლა ლორთქიფანიძემ და ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა — 1:4. მეხუთე ბურთი 62-ე წუთზე კვლავ ფანცულაიამ გაიტანა. ორი წუთის შემდეგ კი „გორდას“ კარში საპასუხო გოლი აღმოჩნდა (თვალაბეიშვილი) — 5:2. საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირმა ფანცულაიამ 66-ე წუთზე უძლიერესი დარტყმით კიდევ ერთი გოლი გაიტანა და ექვსამდე გაზარდა ანგარიში. სამტრედიელებმა ისღა შეძლეს, რომ თ. კოხრეიძემ და რუხაძემ ორი ბურთით შეამცირეს სხვაობა ამ მატჩში. 6:4—ასე გაიმარჯვა „გორდამ“ და გაინაღდა საპრიზო ადგილი ეროვნულ ჩემპიონატში.

**აკაკი უანდიაშვილი,**
„ლელოს“ საკ. კორ.

**„ივერია“ (ხაშური) — „ბათუმი“ (ბათუმი) 4:3 (1:1).**

ხაშური. „ივერიის“ სტადიონი. 8 ნოემბერი.

„ივერია“: ბრიაუნიხი, ჰანგურიძე (აბაზაძე), ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, პოზოიანი, რ. ნოზაძე, თევზაძე, რობაქიძე.

„ბათუმი“: მამინაშვილი, გოგიტიძე, ხიბაია (მჭედლიშვილი), დურდიაძე, კედელაძე, ზედანია (შეყილაძე), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, შანიძე, ტულუში, უჯმაჯურიძე.

მსაჯები: ტ. ნიშნიანიძე, დ. მენთეშაშვილი, მ. აბაიაძე (სამივე — თბილისი).

**საქართველოს** ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. მართალია, ჩემპიონი უკვე ცნობილია, მაგრამ გაურკვეველი მდგომარეობაა აუტსაიდერთა რიგებში, სადაც რამდენიმე გუნდს უმაღლესი ჯგუფის დატოვება ემუქრებათ. მათ შორის არის ხაშურის „ივერიაც“.

ატალახებულ მინდორზე თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და უკვე მე-10 წუთზე ხარაზიშვილის გადაცემის შემდეგ ახლო მანძილიდან ქიმერიძემ გახსნა ანგარიში — 1:0. საპასუხო ბურთი ბათუმელებმა მე-17 წუთზე გაიტანეს: ერთ-ერთ ეპიზოდში შეცდა ხაშურელთა მცველი და ტულუშს ასევე ახლო მანძილიდან არ გასჭირვებია ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

იღბლიანი გამოდგა მასპინძელთათვის 48-ე წუთი, როდესაც ჯერ ქიმერიძემ (თერთმეტმეტრიანი), შემდეგ კი ხარაზიშვილმა ორი ბურთი გაიტანეს ბათუმელთა კარში — 3:1. დაახლოებით ასეთივე სიტუაცია შეიქმნა მატჩის 79-ე წუთზე — ამჯერად ბათუმელებმა შეძლეს ორ წუთში ორი გოლის გატანა. თავი გამოიჩინეს მაჭუტაძემ და უჯმაჯურიძემ. ხაშურელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მოახერხეს ძალების მობილიზება და ქიმერიძემ გამარჯვების გოლი გაიტანა. 4:3 — ასე დამთავრდა ეს მატჩი და ხაშურელებს უმაღლეს ჯგუფში დარჩენის შანსი გაუჩნდათ, ყველაფერს კი ჩემპიონატის ბოლო ტური გადაწყვეტს, სადაც „ივერია“ სტუმრად თბილისის „იბერიას“ შეხვდება.

**გოგი გოგოლაძე,**
„ლელოს“ კორ.

**„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1 (1:1).**

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 8 ოქტომბერი.

„შევარდენი“: გ. ენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, ძნელაძე, კოპალეიშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი (ტარტაროშვილი), ყიფიანი, ქობელაშვილი, მიხაშვილი.

„სამგურალი“: მიქაძე, ბერაძე, წიქარიშვილი, ხურცილავა, დისტენიძე, ხვიტია, ცნობილაძე, კეკელიძე, გოგელიძე, ხუნდაძე, ხარაბაძე.

მსაჯები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), თ. კურტანიძე, ნ. კილაძე (ორივე — თბილისი).

გააფრთხილეს მიქაძე, გააძევეს ხურცილავა (ორივე — „სამგურალი“).

**თბილისელი** და წყალტუბოელი ფეხბურთელები აუტსაიდერთა რიგებში იმყოფებიან და ორივე გუნდს ემუქრება უმაღლესი ჯგუფის დატოვების რეალური საფრთხე. ამიტომ ამ მატჩს მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი შეიძლება საბედისწერო გამომდგარიყო ერთ-ერთი მათგანისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, „შევარდენი“ მხოლოდ მოგებისთვის იბრძოდა, ხოლო სტუმრები ფრესაც ყაბულს იყვნენ.

ჯერ კიდევ მატჩის დაწყებისთანავე შეეძლოთ ყიფიანსა და მიხაშვილს ანგარიშის გახსნა. თბილისელთა იერიშებს საპასუხოდ წყალტუბოელთა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელის გოგელიძისა და ხარაბაძის შეტევები მოჰყვა. შეხვედრის 25-ე წუთზე შალამბერიძის მიერ ახლო მანძილიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი მოიგერია მიქაძემ, რასაც სტუმართა კონტრიერიში მოჰყვა და ხუნდაძემ გახსნა ანგარიში. არადა ამ მომენტამდე უპირატესობა შევარდნელთა ხელთ იყო. ანგარიშის გათანაბრება მაინც არ გასჭირვებიათ თბილისელებს: ერთ-ერთი გარღვევის დროს მოცელეს ჩადუნელი და ქობელაშვილმა ზუსტად დაარტყა პენალტი — 1:1.

შეხვედრის მეორე ნახევარი სანახაობრივად უფრო მიმზიდველი გამოდგა. ჯერ იყო და ქობელაშვილმა ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ააცილა კარს, შემდეგ ჩადუნელმა ულამაზესი ფინტებით გვერდი აუარა სამ მეტოქეს, მარჯვენა ფრთიდან ძლიერად ჩააწოდა ბურთი, მაგრამ თბილისელებმა ვერც ეს ნაღდი საგოლე შანსი გამოიყენეს. მართალია, ხურცილავას, ცნობილაძეს და ხუნდაძესაც ჰქონდათ ანალოგიური მომენტები, მაგრამ გოლის გატანა ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო.

საბოლოოდ, მეტოქენი თითო ქულას დასჯერდნენ. გათამაშების ცხრილის ქვედა საფეხურებზე მეტად ბუნდოვანი მდგომარეობაა და, თუ ვინ დატოვებს უმაღლეს ჯგუფს, ამას ბოლო ტური გაარკვევს.

**ლევან ჯაფარიძე**

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა XXXIII ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია“ (თბილისი) | 33 | 23 | 6 | 4 | 90—23 | 75 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 33 | 22 | 3 | 8 | 63—32 | 69 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 33 | 21 | 6 | 6 | 72—20 | 69 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 33 | 19 | 5 | 9 | 59—33 | 62 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 33 | 19 | 5 | 9 | 54—31 | 62 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 33 | 17 | 7 | 9 | 55—28 | 58 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 33 | 13 | 9 | 11 | 51—36 | 48 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 33 | 12 | 9 | 12 | 46—37 | 45 |
| „დილა“ (გორი) | 33 | 12 | 6 | 15 | 50—52 | 42 |
| „მზიური“ (გალი) | 33 | 11 | 7 | 15 | 44—64 | 40 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 33 | 10 | 10 | 13 | 46—47 | 40 |
| „ივერია“ (ხაშური) | 33 | 11 | 5 | 17 | 34—61 | 38 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 33 | 10 | 8 | 15 | 41—44 | 38 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 33 | 10 | 8 | 15 | 39—62 | 38 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 33 | 10 | 7 | 16 | 36—52 | 37 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 33 | 10 | 7 | 16 | 32—49 | 37 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 33 | 10 | 6 | 17 | 37—54 | 36 |
| „ლიახვი“ (ცხინვალი) | 33 | — | — | 33 | 11—132 | 0 |

**„ოდიში“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:2 (2:0).**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 8 ნოემბერი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, ხართანია, ი. თევზაძე, ჯავაშვილი, ჭაჭუა (ვანეიკინი), მალანია, შეროზია, ბიგვავა, ზდანჩუკი (გოგოხია), მ. თევზაძე (ტიბუა).

„კოლხეთი“: ბაბუაძე, ბოსტანჯიანი, კაციტაძე, ხურცილავა (ფარჯალია), ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, ჭეჭელავა, კალუჟა, გვასალია, ჭიჭინაძე.

მსაჯები ლ. ჩიტაია, ო. გუნთაძე, გ. ხეჩუაშვილი (სამივე — თბილისი).

ეს გუნდები წელს მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს. მიუხედავად კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა, ფეხბურთში მათი შეხვედრები უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობს, ხშირად კი მათ შორის გამართული მატჩები უსიამოვნებებშიც გადადის ხოლმე. საბედნიეროდ, ბოლო მატჩი ზუგდიდში ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩატარდა.

მასპინძლებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს სტუმრებს; მე-6 წუთზე ბიგვავამ კარგად ითამაშა მოწინააღმდეგის საჯარიმოში, გადააწოდა ბურთი ალანიას და ანგარიში გაიხსნა — 1:0. მიმდინარეობდა მატჩის მე-18 წუთი, როდესაც მსაჯმა მალანიასთან უხეში თამაშისათვის თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად შეასრულა თვით „დაზარალებულმა“ — 2:0.

მეორე ნახევარი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს. თავის გამოჩენის საშუალება მიეცათ ბაკურაძეს, კალუჟას, ჭიჭინაძეს, მაგრამ მათ მიერ შესრულებული გადამწყვეტი დარტყმები არაზუსტი იყო; ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს კი, როდესაც სტუმრები შეტევით იყვნენ გართულნი, ბიგვავამ ისარგებლა მცველების უყურადღებობით და სამამდე გაზარდა ანგარიში.

ხობელებმა ისღა მოახერხეს, რომ 35-ე წუთზე ბაკურაძემ და მატჩის უკანასკნელ წუთზე ბოსტანჯიანმა შეამცირეს სხვაობა ანგარიშში — 3:2 ასე გაიმარჯვა „ოდიშმა“.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) — 0:1 (0:1).**

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 8 ნოემბერი.

„კოლხეთი-1913“: გვასალია, კაკაჩია, ქაჯაია, გიორგაძე, გოგატაძე, შამათავა, თოფურია, ავრამიდისი (ჟვანია), ჭყონია (ტორჩინავა), თვარაძე, ბაჯალაძე.

„გურია“: ქანთარია, ტყეშელაშვილი, გუჯაბიძე, კაბისაშვილი, მაჟეიკასი, ცომაია, ბარათაშვილი (კვინტრაძე), ფრიდრიკასი (უგრელიძე), კორძალიძე, ფრიდონაშვილი, ჩხაიძე.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, ზ. ლაცაბიძე (ორივე — თბილისი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი).

გააფრთხილეს: კორძალიძე („გურია“).

**მიუხედავად** წვიმიანი ამინდისა, მატჩი საინტერესოდ წარიმართა. მე-2 წუთზე ძალზე სახიფათოდ ითამაშა ფრიდრიკასმა, [illegible] მცველებმა შეძლეს ბურთის კუთხურზე მოგერიება. [illegible] განახორციელეს [illegible] ნიას უძლიერესი დარტყმა, მოიგერია ქანთარიამ.

ლანჩხუთელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფრიდრიკასი, ხოლო მასპინძლებიდან თოფურია. მიმდინარეობდა მატჩის მე-18 წუთი, როცა ფოთელთა საჯარიმო მოედანზე ბურთით შეიჭრა ფრიდრიკასი, გვასალიამ ფეხებში ჩაუხტა მას და აართვა ბურთი. მსაჯმა დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად შეასრულა კორძალიძემ — 1:0.

მეორე ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, გოლის გატანა შეეძლო ფრიდრიკასს, მაგრამ კარგად თამაშობდა გვასალია. დარჩენილ დროში გამუდმებით უტევდნენ თვარაძე, გიგატაძე, ბაჯალაძე, თოფურია, მაგრამ ქანთარიაც საიმედოდ იცავდა კარს.

**ტრისტან მანია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ცხუმი“ (სოხუმი) — 3:2 (0:1).**

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი. 8 ნოემბერი.

„ამირანი“: მეხხია, შამუგია, ძალამიძე, შელია, შანავა, ზ. ღურწკაია, შიროკიხი, დ. კაკუბავა, მ. კაკუბავა, გუჩუა, ურთმელიძე.

„ცხუმი“: ურუშაძიანი (ქვაჩახია), ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, თ. სიჭინავა, გაძელია, პაპავა (ჯელაძე), გოგრიჭიანი, გაბისკირია (კუჭავა), კურგენიანი.

მსაჯები: ვ. შელია, ვ. პრავოვი, რ. ჩიქოვანი (სამივე — გაგრა).

**პირველი** ტაიმი ოჩამჩირელთა შეტევებით დაიწყო. ხელსაყრელი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს გუჩუამ და კაკუბავამ. სოხუმელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს, მე-20 წუთზე, გაძელიამ გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჯერ დ. კაკუბავამ გამოიჩინა თავი, შემდეგ ძალამიძემ ზედიზედ ორი პენალტი გაიტანა სტუმართა კარში. შეხვედრის ბოლოს კი გოგრიჭიანმა პენალტით შეამცირა ანგარიშში სხვაობა.

**თენგიზ პაპკორია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

* * *

ტურის სხვა მატჩები: „დილა“ (გორი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 4:2, „მზიური“ (გალი) — „იბერია“ (თბილისი) 3:2.

32-ე ტურის შეხვედრა სამტრედიის „სანავარდოსა“ და ფოთის „კოლხეთი-1913“-ს შორის დამთავრდა ფოთელთა გამარჯვებით — 1:0.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლო, 34-ე ტური გაიმართება 12 ნოემბერს. ერთმანეთს შეხვდებიან: „სამგურალი“ (წყალტუბო) — „მზიური“ (გალი), „იბერია“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური), „ბათუმი“ (ბათუმი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „გორდა“ (რუსთავი), „სანავარდო“ (სამტრედია) — „დილა“ (გორი), „ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე), „ცხუმი“ (სოხუმი) — „ოდიში“ (ზუგდიდი), „კოლხეთი“ (ხობი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი).

სწორედ 12 ნოემბერს გაირკვევა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა. ასევე გაირკვევა იმ ერთი გუნდის საკითხიც, ვინც ცხინვალის „ლიახვთან“ ერთად მომავალი წლიდან I ჯგუფში ისპარეზებს.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მორიგი ტურის საპასუხო შეხვედრები.**

**ჩემპიონთა თასის** გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკისთვის“ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ნაპოლისთან“ ფრედ (0:0) დამთავრებული ორი მატჩი. ვინაიდან ამ შეხვედრათა ჯამში საერთო ანგარიში იყო 0:0, დაინიშნა მატჩისშემდგომი 11-მეტრიანები. აქ სპარტაკელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და პენალტების მეშვეობით გაიმარჯვეს — 5:3. „სპარტაკი“ მეოთხედფინალში გავიდა, ხოლო მარადონას ცნობილი გუნდი კი გათამაშებას გამოეთიშა. აღსანიშნავია, რომ თვით მარადონა შემცვლელად გამოვიდა მინდორზე 66-ე წუთზე, მაგრამ ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი.

**თასების მფლობელთა თასზე** კიევის „დინამოს“ პრაღის „დუკლასთან“ შინ მოგებული ჰქონდა ანგარიშით — 1:0. კიეველებმა საპასუხო მატჩი პრაღაში ფრედ დაამთავრეს — 2:2 და მეოთხედფინალში გავიდნენ.

**უეფა-ს თასზე** მოსკოვის „ტორპედომ“ ესპანეთის „სევილიასთან“ შინ პირველი მოგებული თამაშის შემდეგ — 3:1, სევილიაში ძალების უკიდურესი დაძაბვით იბრძოლა და მხოლოდ ანგარიშით 1:2 წააგო, რამაც გუნდს ორი მატჩის ჯამში საერთო წარმატება მოუტანა. მოსკოვის ტორპედოელები ბრძოლას განაგრძობენ უეფა-ს თასის მერვედფინალში. ამ ეტაპის მატჩები წლეულსვე გაიმართება.

საფრანგეთის „მონაკოსთან“ შეხვედრაში ოდესის „ჩერნომორეცმა“ პირველი შეხვედრის ფრედ დამთავრების შემდეგ (0:0), [illegible] მინდორზე მარცხი იწვნ[illegible] [illegible]:1) და შეჯიბრებასაც გამო[illegible].

**ჩემპიო[illegible] თასების მფლობე[illegible] [illegible]თხედფინალები გ[illegible] [illegible], 1991 წლის 6 [illegible] მარტს. მეტოქეებს წილისყრ[illegible] [illegible] 14 დეკემბერს.**

**რაც შეეხება მოსკოვის „ტორპედოს“, მას წლეულსვე აქვს სათამაშო მერვედფინალის შეხვედრები. ისინი გაიმართება 28 ნოემბერს და 12 დეკემბერს.**

გთავაზო[illegible] სამივე გათამაშების საერთო შედეგებს:

### ჩემპიონთა თასი

### მერვედფინალები

**„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ნაპოლი“ (იტალია) — 0:0,** დამატებით პენალტებით — 5:3 (პირველი შეხვედრა 0:0)

„სრედეცი“ (ბულგარეთი) — „ბაიერნი“ (გფრ) — 0:3 (0:4)

„ტიროლი“ (ავსტრია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 2:2 (1:9)

„ბრიუგე“ (ბელგია) — „მილანი“ (იტალია) 0:1 (0:0)

„მალმე“ (შვეცია) — „დინამო“ (დრეზდენი, გფრ) — 1:1, დამატებითი პენალტებით — 4:5 (1:1)

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 1:1 (0:3)

„მარსელი“ (საფრანგეთი) — „ლეხი“ (პოლონეთი) 6:1 (2:3)

„პორტო“ (პორტუგალია) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 4:0 (0:0)

მეოთხედფინალში გავიდნენ: **„სპარტაკი“, „ბაიერნი“, „რეალი“, „მილანი“, „დინამო“, „ცრვენა ზვეზდა“, „მარსელი“ და „პორტო“.**

### თასების მფლობელთა თასი

### მერვედფინალი

„დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „დინამო“ (კიევი) 2:2 (0:1)

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ფრამი“ (ისლანდია) 3:0 (2:1)

„რექსჰემი“ (უელსი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) 0:2 (0:3)

„ლეგია“ (პოლონეთი) — „აბერდინი“ (შოტლანდია) 1:0 (0:0)

„სამპდორია“ (იტალია) — „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 3:1 (1:0)

„იუვენტუსი“ (იტალია) — „აუსტრია“ (ავსტრია) 4:0 (4:0)

„სტიაუა“ (რუმინეთი) — „მონპელიე“ (საფრანგეთი) 0:3 (0:5)

„ესტრელა“ (პორტუგალია) — „ლიეჟი“ (ბელგია) 1:0 (0:2)

მეოთხედფინალში გავიდნენ: **„დინამო“, „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლეგია“, „სამპდორია“, „იუვენტუსი“, „მონპელიე“ და „ლიეჟი“.**

გაგრძელება იქნება

### ჭადრაკი მსოფლიო პირველობაზე

# კვლავ წონასწორობა

ᲡᲣᲚ 4 დებიუტი 12 პარტიაში — ცოტა ხომ არ არის მსოფლიო პირველობის მატჩისთვის? მაგრამ მიმომხილველები, რომლებიც ამას კითხულობენ, ამავე დროს ხაზს უსვამენ მეტოქეთა პრინციპულობას, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ იმ დებიუტების ძალა, სპეციალურად ამ მატჩისათვის რომ მოამზადეს.

მეთორმეტე შეხვედრაში, ამ მატჩში უკვე მეხუთედ, ესპანური პარტია შეგვხვდა, რომელსაც ახლა კასპაროვი სისტემატურად მიმართავს, მაგრამ, თუ მეორე პარტიას არ მივიღებთ მხედველობაში, სადაც კასპაროვმა გაიმარჯვა, სხვა შეხვედრებში ამ დებიუტმა ჩემპიონს ბევრი ვერაფერი მოუტანა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ იგი რაიმე ახალ გაგრძელებას მიმართავდა. ეს მოხდა მეთერთმეტე სვლაზე, როცა კასპაროვმა მხედრით ითამაშა კიდურა უჯრაზე. ძველი საჭადრაკო დოგმების თანახმად, ეს ყოველთვის არახელსაყრელია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი იმიტომ მსოფლიო ჩემპიონია, რომ ყოველგვარ დოგმას გვერდი აუაროს.

რა შედეგი მოგვიტანა ამ თეორიულმა სიახლემ? ამაზე ლაპარაკი, ჯერ ნაადრევია. კარპოვმა დაიწყო საპასუხო თამაში ლაზიერის ფრთაზე, სადაც საინტერესო „შეტაკება" მოხდა, მაგრამ მაინც წონასწორობა შენარჩუნდა. ეს წონასწორობა, ცხადია, ხელს არ აძლევდა თეთრებით მოთამაშე ჩემპიონს. ამიტომ მან განახორციელა ტაქტიკური ოპერაცია — დათმო ცენტრალური პაიკი, რომლის ნაცვლად შეეცადა ინიციატივის დაუფლებას მეფის ფრთაზე. აქ იგი კუთი შეიჭრა, რომელსაც ზურგს ლაზიერი უმაგრებდა. უნდა ითქვას, რომ რაიმე შესამჩნევ უპირატესობას ჩემპიონმა ვერ მიაღწია, თუმცა სვლების მოფიქრებაზე დიდი დრო დახარჯა. ესპანურ პარტიაში თავდაცვა კარპოვს ძალიან ეხერხება. რამდენიმე ზუსტი მანევრით მან მოიგერია თეთრების მუქარა და 37-ე სვლაზე სავსებით თანაბარ პოზიციაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ანგარიში კვლავ თანაბარია — 6:6. ამით დამთავრდა მატჩის ნიუ-იორკის ნახევარი, რომელმაც ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა უპირატესობა. მით უფრო საინტერესო უნდა გამოდგეს მატჩის მეორე ნახევარი საფრანგეთის ქალაქ ლიონში, რომელიც 24 ნოემბერს დაიწყება.

# მატჩის ირგვლივ

### მოწვევაზე არ უპასუხა

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ორგანიზატორებმა მიწვევა გაუგზავნეს მსოფლიო ექსჩემპიონ რობერტ ფიშერს, სთხოვეს. მისთვის ხელსაყრელ მომენტში ყოფილიყო კასპაროვ-კარპოვის მატჩის საპატიო სტუმარი.

ფიშერს არც კი უპასუხია მათთვის. საქმე ის არის, რომ ექსჩემპიონი არ სცნობს ფიდეს, რომლის ეგიდითაც ტარდება მატჩი მსოფლიო პირველობაზე. საინტერესოა, რომ საკუთარ თავს ფიშერი კვლავ „მსოფლიო ჩემპიონს" უწოდებს.

### ვის მხარეზეა გელერი?

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ყველა პარტიას ესწრებოდა გამოჩენილი დიდოსტატი ეფიმ გელერი, მაგრამ ექსპერტებმა ვერ დაადგინეს, ვის „შტაბს" მიეკუთვნებოდა იგი. ზოგმა დაასკვნა, რომ მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი კასპაროვის „ბანაკშია" და ამის შესახებ პირდაპირ დაუსვეს კითხვა გელერს:

არავისაც არ ვეხმარები, უბრალოდ, წიგნს ვწერ ამ მატჩის შესახებ.

თუ გელერი არავის ეხმარება, ნიუ-იორკში მყოფი სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ახალგაზრდა ამერიკელ დიდოსტატს მაქსიმ დლუგის აშკარა კავშირი აქვს კასპაროვის „შტაბთან".

### გაგონებაც არ სურს

ᲗᲐᲛᲐᲨᲗᲐᲜ ერთად ანატოლი კარპოვი სხვა საქმეებითაც არის დაკავებული. ფიდე-ს პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც მალე იუგოსლავიაში მოეწყობა (ნოვი სადის ოლიმპიადის დღეებში), იგი მხარს უჭერს ესპანელ რომან ტორანს ფლორენსიო კამპომანესის წინააღმდეგ. ოდესღაც კარპოვს კამპომანესთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ახლა კი მისი სახელის გაგონებაც არ სურს.

პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ, თუ ტორანი ფიდე-ს პრეზიდენტი გახდება, კარპოვი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს. კამპომანესის ხელახალი გამარჯვების შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი ცნობილი იუგოსლაველი დიდოსტატი ალექსანდრ მატანოვიჩი ხდება, რომელსაც კამპომანესმა სთხოვა, არ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე და დაიყაბულა კიდეც.

### ლომბარდი ადარებს ორთაბრძოლებს

„ᲞᲐᲓᲡᲝᲜᲘᲡ" თეატრში, სადაც მატჩი ტარდებოდა, ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ცნობილი ამერიკელი დიდოსტატი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებს შორის უილიამ ლომბარდი. იგი ადრე კათოლიკე პატრი იყო, მაგრამ ახლა თავი დაანება სასულიერო მოღვაწეობას.

ლომბარდი 1972 წლის მატჩში რეიკიავიკში სპასკისა და ფიშერს შორის ამერიკელი დიდოსტატის სეკუნდანტი იყო. ამიტომ მას სთხოვეს რეიკიავიკის ასპარეზობა ახლანდელი მატჩისათვის შეედარებინა.

—რეიკიავიკისა და ნიუ-იორკის მატჩებს შორის მართლაც ბევრი რამაა საერთო. ამერიკა მაშინაც მოიცვა საჭადრაკო ციებ-ცხელებამ და ასევეა ახლაც. ძალზე მიხარია, როცა თეატრი, ალბათ ყველაზე უკეთესი ნიუ-იორკში, ხალხით ივსება. როცა ფიშერი და სპასკი იბრძოდნენ თავიანთ ისტორიულ მატჩში, საჭადრაკო მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ასეა ახლაც. ფიშერი ჩამოსცილდა საჭადრაკო ასპარეზს, მაგრამ მე ვთვლი, რომ კასპაროვი ახალი ფიშერია.

ჩემი აზრით, კასპაროვი ამ მატჩში ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ დიდ ანგარიშზე და ვადაზე ადრე გამარჯვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. დარწმუნებული უნდა ვიყოთ — ისევე, როგორც ყველა ადრინდელ შეხვედრაში, აქაც 24 პარტია გათამაშდება.

ამ მატჩში ნამდვილი გამარჯვებული იქნება... ჭადრაკი, თითქმის ყველა პარტია მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობს, სწრაფი ყაიმები გამონაკლისია. შეიძლება შემოგვედავონ, რომ მეტოქეები თანდათან მეტ შეცდომას უშვებენ. ეს არნახული დაძაბულობით უნდა აიხსნას, ანდა ის ვიკითხოთ, რომელ მატჩში არ ყოფილა შეცდომები?.

# ევროპის საკლუბო ტურნირები

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚ ვაჟთა ევროპის საკლუბო ტურნირებს მეორე წრის შემდეგ საბჭოთა გუნდებიდან შემორჩა მხოლოდ მოსკოვის „დინამო", რომელიც თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ასპარეზობს და რომელმაც ორი შეხვედრის ჯამში დაამარცხა უნგრეთის „დოჟა კორმენდი" (განმეორებითი მატჩის ანგარიშია 113:72).

მესამე რაუნდში ითამაშებენ:

თასების მფლობელთა თასი. „ჰაპოელი" (ჟალკლი, ისრაელი), „კნორი" (იტალია), „პაოკი" (საბერძნეთი), „შოლე" (საფრანგეთი), კაი „სარაგოსა" (ესპანეთი), „ოვარენზე" (პორტუგალია), „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დინამო" (მოსკოვი).

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ. „ბარსელონა" (ესპანეთი), „პოპ-84" (იუგოსლავია), „კინგსტონ-ტოლუორტი" (ინგლისი), „ბაიერი" (გერმანია), „სკავოლინი" (იტალია), „არისი" (საბერძნეთი), „მაკაბი" (ტელ-ავივი, ისრაელი), „ლიმოჟი" (საფრანგეთი).

ᲙᲝᲠᲐᲩᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. „ირაკლისი" (საბერძნეთი), „მიულუზი" (საფრანგეთი), „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი), „კასტორსი" (ბელგია), „ჰაპოელი" (ტელ-ავივი, ისრაელი), „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი), „შარლოტენბურგი" (გერმანია), „ფონოლა" (იტალია), „ესტუდიანტესი" (ესპანეთი), „სუნაირი" (ბელგია), „ზადარი" (იუგოსლავია), „პანიონიოსი" (საბერძნეთი), „კანტუ" (იტალია), „ხუვენტუდი" (ესპანეთი), „ციბონა" (იუგოსლავია).

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### უეფა-ს თასი

### მერვედფინალი

„სევილია" (ესპანეთი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:1 (1:3)

„მონაკო" (საფრანგეთი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:0 (0:0)

„ინტერი" (ჩეხოსლოვაკია) — „კიოლნი" (გფრ) 0:2 (1:0)

„ბორუსია" (დორტმუნდი, გფრ) — „უნივერსიტატია კრაიოვა" (რუმინეთი) 1:0 (3:0)

„ბორდო" (საფრანგეთი) — „მაგდებურგი" (გფრ) 1:0 (1:0)

„ბოლონია" (იტალია) — „ჰართსი" (შოტლანდია) — 3:0 (1:3)

„ანდერლეხტი" (ბელგია) — „ომონია" (კიპროსი) — 3:0 (1:1)

„ბაიერი" (ლევერკუზენი, გფრ)— „კატოვიცე" (პოლონეთი) 4:0 (2:1)

„ფერენცვაროში" (უნგრეთი)— „ბრონდბიუ" (დანია) 0:1 (0:3)

„ატალანტა" (იტალია) — „ფენერბახჩე" (თურქეთი) 4:1 (1:0)

„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) — „ვიტესი" (ჰოლანდია) 0:4 (0:1)

„რომა" (იტალია) — „ვალენსია" (ესპანეთი) 2:1 (1:1)

„ინტერი" (იტალია) — „ასტონ ვილა" (ინგლისი) 3:0 (2:0)

„ადმირა ვაკერი" (ავსტრია) — „ლიუცერნი" (შვეიცარია) 1:1 (1:0)

„პოლიტეხნიკა" (რუმინეთი) — „სპორტინგი" (პორტუგალია) 2:0 (0:7)

მერვედფინალში გავიდნენ: **„ტორპედო", „მონაკო", „კიოლნი", „ბორუსია", „ბორდო", „ბოლონია", „ანდერლეხტი", „ბაიერი", „ბრონდბიუ", „ატალანტა", „ვიტესი", „რომა", „ინტერი", „ადმირა ვაკერი", „სპორტინგი".**

# 23-ე გამარჯვება რინგზე დაბრუნების შემდეგ

ᲯᲝᲠᲯ ფორმენი აბსოლუტური ჩემპიონი კრივში 16 წლის წინ გახდა, 1974 წელს. მერე მან გვირგვინი ლეგენდარულ მოჰამედ ალის „დაუთმო" და როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, უკანა პლანზე გადავიდა. სულ მალე ფორმენი მიხვდა, რომ უძლიერესის ტიტულს ველარ დაიბრუნებდა, მთლიანად ჩამოსცილდა სპორტს და ტეხასის შტატის ერთ-ერთ ბაპტისტურ ეკლესიაში ღვთისმსახურება დაიწყო.

მაგრამ მოხდა სასწაული და ცამეტწლიანი შესვენების შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა რინგს. ამასთან დაკავშირებით ამერიკელი ჟურნალისტები და სპეციალისტები დიდხანს ქილიკობდნენ, მაგრამ ფორმენი ყურს არ უგდებდა შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ კომენტარებს და რინგზე „მეორედ მოსვლის" შემდეგ შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა.

42 წლის ექსჩემპიონმა თავისი „ხელახალი დაბადების დღიდან" 22 შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო. ამ დღეებში კი ოცდამესამე გამარჯვება მოიპოვა თანამემამულესთან ტერი ანდერსონთან (ეს ბრძოლაც ნოკაუტით დამთავრდა) შეხვედრაში. სულ ფორმენს პროფესიულ რინგზე ჩატარებული აქვს 71 ბრძოლა. 69 შეხვედრა მოიგო, თანაც 65 ნოკაუტით.

შეგახსენებთ, რომ პროფესიულ რინგზე დაბრუნების წინ ექსჩემპიონი 145 კილოგრამს იწონიდა. ახლა კი მისი წონაა 118 კილოგრამი. ფორმენი თავს ჩინებულად გრძნობს და მზად არის შეხვდეს — „დიდი სამეულის" ნებისმიერ წევრს— მაიკ ტაისონს, ბასტერ დუგლასს ან ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს ევანდერ ჰოლიფილდს.

რედაქტორი
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ:**

**ენების კათედრაზე**
რუსული ენის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული
გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული
**ბიომექანიკის კათედრაზე**
კათედრის დოცენტი — 1 ერთეული
**მძლეოსნობის კათედრაზე**
კათედრის დოცენტი — 1 ერთეული
**ტანვარჯიშის კათედრაზე**
უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული
**სათხილამურო სპორტის კათედრაზე**
კათედრის გამგე — 1 ერთეული
**საწყლოსნო სპორტის კათედრაზე**
კათედრის დოცენტი — 1 ერთეული ცურვის სპეციალობით
უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული ცურვის სპეციალობით
**სპორტული თამაშების კათედრაზე**
კათედრის გამგე — 1 ერთეული
უფროსი მასწავლებელი — 2 ერთეული კალათბურთის სპეციალობით
უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული ფრენბურთის სპეციალობით
**ფიზიკური კულტურის თეორიის კათედრაზე**
მასწავლებელი — 1 ერთეული, ჭადრაკის სპეციალობით
**ჭიდაობის კათედრაზე**
მასწავლებელი — 1 ერთეული თავისუფალი ჭიდაობის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

ცნობების მიღება შეიძლება კადრების განყოფილებაში.

**მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 49. ტელ. 23-09-02.



ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(Ა. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ № 2)

**12 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

**„ᲘᲑᲔᲠᲘᲐ" (თბილისი) — „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ" (ხაშური)**

დასაწყისი 14 საათსა და 30 წუთზე

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 11 და 12 ნოემბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).



„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ (ᲑᲘᲭᲔᲑᲘ) ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲡ. ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲓᲐ, 9-11, 15-17 ᲓᲐ 17-19 ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ — ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები ქ. ქავთარაძე და ც. ჩიტიშვილი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380090,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

**ᲛᲔᲜᲔᲓ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ:**
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20